საქართველოს პრეზიდენტი

მის აღმატებულებას, ბატონ სი ძინპინს,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს

თბილისი, 2026 წლის 8 ივნისი

თქვენო აღმატებულებავ,

მსურს გულწრფელად მოგილოცოთ და გადმოგცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენ და მეგობარ ჩინელ ხალხს, ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 34-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ეს მნიშვნელოვანი ეტაპი შესანიშნავ შესაძლებლობას გვაძლევს, გავიაზროთ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი და კმაყოფილებით აღვნიშნოთ ის მტკიცე მეგობრობა, რომელიც ურთიერთპატივისცემით, ნდობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით განვითარდა.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, საქართველომ და ჩინეთმა სტაბილურად განამტკიცეს პარტნიორობა და გააფართოვეს თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ვაჭრობის, ინვესტიციების, დაკავშირებადობის, კულტურის, განათლებისა და ხალხთა შორის კავშირების სფეროში. ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ორმხრივი ურთიერთობები დინამიურად ვითარდება, რაც ქმნის ხელშესახებ შედეგებს და თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობას და ერთგული რჩება ჩვენი პარტნიორობის შემდგომი გაღრმავებისა და ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების მიმართ, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხებისთვის კეთილდღეობის, განვითარების და მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების 34-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვაქვს პატივი გამოვაცხადოთ ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილების შესახებ, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აყვანის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი შექმნის უფრო ფართო შესაძლებლობებს ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობისთვის, რაც უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ორივე ერს და კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობასა და კავშირებს.

თქვენო აღმატებულებავ, გისურვებთ უწყვეტ წარმატებას, ხოლო მეგობარ ჩინელ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას, სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

გთხოვთ, მიიღოთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი ღრმა პატივისცემა.

პატივისცემით,

მიხეილ ყაველაშვილი

Unofficial Translation

H.E. Mr. Xi Jinping
President of the People's Republic of China

Tbilisi, 8 June 2026

Your Excellency,

I extend my sincere congratulations and best wishes to Your Excellency and to the friendly people of the People's Republic of China on the occasion of the 34th anniversary of the establishment of diplomatic relations between our countries.

This important milestone provides an excellent opportunity to reflect upon the remarkable progress achieved in relations between Georgia and the People's Republic of China over the past three decades and to celebrate the enduring friendship that has been cultivated through mutual respect, trust, and constructive cooperation.

Since the establishment of diplomatic relations, Georgia and China have steadily strengthened their partnership and expanded cooperation across a wide range of areas, including trade, investment, connectivity, culture, education, and people-to-people exchanges. Through our joint efforts, our bilateral relations have continued to develop dynamically, yielding tangible results and creating new opportunities for cooperation.

Georgia highly values its relationship with the People's Republic of China and remains committed to further deepening our partnership and expanding bilateral cooperation in pursuit of a prosperous, advanced, and sustainable future for our countries and peoples.

It is particularly gratifying that, on the occasion of the 34th anniversary of diplomatic relations, we have the honor to announce our joint decision to elevate Georgia–China relations to the level of a Comprehensive Strategic Partnership. I am confident that this important step will create broader opportunities for cooperation between our countries, bringing greater benefits to both nations and further strengthening the friendship and ties between our peoples.

I wish Your Excellency continued success and extend my sincere wishes to the friendly people of China for peace, stability and prosperity.

Please accept, Your Excellency, the assurances of my highest consideration.

Sincerely,

Mikheil Kavelashvili